ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4868849

ნომერი: AR1734525

თარიღი : 14.02.2020

გაცემის თარიღი : 20.02.2020

გაცნობის თარიღი : 25.02.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 123;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა შარაშიძე პ/ნ 01019059287
- თემქის დას. 3 მ.რ Vკვ. 15კორპ. ბ15

ნომენკლატურა :

- ავტოსამრეცხაო
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს პროგრიფი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 4749465
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შ.პ.ს პროგრიფი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 4749465

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4856148
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 11.02.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასალა არასრულია და არის გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ) კერძოდ:

1.დამკვეთის სახელი და გვარის ველში მითითებულ იქნეს შპს „პროგრიფის“ ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი და პირადი ნომრის ველში აღნიშნული პირის პირადი ნომერი.

წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთის მესაკუთრის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა სათანადო წესით დამოწმებული (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი), რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში, მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება შპს ლავას სარგებლობა, აქედან გამომდინარე, თუ ეხებით მის ნაწილს წარმოადგინეთ მისი თაბნხმობა თუ არ ეხებით განმარტეთ.

2.ვინაიდან მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით წარმოადგინეთ იპოთეკარის წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილ იქნეს მისი ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი).

3. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საპროექტო არეალში გადის ხაზოვანი ნაგებობა - მილსადენი ს.კ.N 01.00.287 (მესაკუთრე - შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“), საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.

ასევე, თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში საპროექტო არეალში ფიქსირდება ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.

4. წარმოსადგენია საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან.

საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-19-ე მუხლის, მე-2 და მე-3, ქვეპუნქტების შესაბამისად აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;

ბ) მიწის ნაკვეთის მისამართს;

გ) მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;

დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს;

ე) შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.

ვ) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს.

საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.